დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიკა გიორგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:

მაკა ნადარეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო შუბლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მარეხი ჩიკვაიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ღოღობერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ნინელი ცერცვაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226157379

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბორჯომის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა წაღვერი, დ. აღმაშენებლის ქ. N25
ფაქტობრივი მისამართი	დაბა წაღვერი, აღმაშენებლის. 25 (ძირითადი შენობა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი სამივესაფეხურზე); სოფ. ცემი (ოპტიმიზირებული სკოლა- დაწყებითი საფეხური. სწავლება არ მიმდინარეობს ბოლო 4 წლის განმავლობაში); სოფ.მზეთამზე (ოპტიმიზირებული სკოლა- დაწყებითი საფეხური, სწავლება არ მიმდინარეობს).

საფოსტო ინდექსი	1200

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsaghveri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577676760

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 2 23 000055388; 17.05.2023.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	4 და 5 ივლისი 2023 წელი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის,

---

				დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა წაღვერი, აღმაშენებლის №25
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა წაღვერი, აღმაშენებლის №25
3.	ზოგადი განათლების საშუაალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა წაღვერი, აღმაშენებლის №25

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
2023 წლის 4 და 5 ივლისს სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის

შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივი ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტისა, რომელიც იმყოფებოდა სკოლაში) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებასთან ერთად გაიმართა მსჯელობა სტანდარტების სრულად დაკმაყოფილების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინეს შესაბამისობის გეგმა, რომელიც ასახავს დაგეგმილ ღონისძიებებს. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მ ე ტ წ ი ლ ა დ შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისადა პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 **მოსწავლეთა უფლებების დაცვა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 **მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სკოლის რესურსების გათვალისწინებით, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დღეისათვის დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს, საგანმანათლებლო მომსახურება გაუწიოს 314 მოსწავლეს (დაწესებულების ბალანსზე არსებული სასკოლო მერხების და სკამების რაოდენობის გათვალისწინებით).

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ✓ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო

პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N1.2.1. (4)	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმით სკოლამ უნდა განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური.
ინდიკატორი N1.2.2. (1)	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.	სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით უნდა გაითვალისწინოს მონიტორინგის და შეფასების პროცესის/პროცედურის აღწერა და განსაზღვროს შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი/ორგანო.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N3.4.1 (1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის, საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	1. სკოლამ უნდა წარმოადგინოს საგანგებო მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. სკოლამ უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსაგან დასკვნის მოპოვება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან შესაბამისი მიწერილობის წარმოდგენა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა - 07.06.2024 წ.)
ინდიკატორი N3.4.1 (6)	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფრმაციის დაცვის მექანიზმები.	სკოლამ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი (წესი ან/და სხვა), რომლის შესაბამისადაც მოახდენს მის ხელთ არსებული

		ინფორმაციის დაცვას.
ინდიკატორი N3.6.3 (5)	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლის მფლობელობაში არსებულ ვებ გვერდის შესაბამის გვერდზე სკოლამ უნდა განათავსოს სტანდარტის ინდიატორის შესაბამისი ინფორმაცია სრულად: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
3.4.1. (1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია, სკოლამ შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
3.6.3. (2)	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოების ინფორმირების შესახებ სპეციალური წესი/მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსებას სკოლას არ აქვს.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**

2.1.2. (1)	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	მათემატიკის კურიკულუმში სამიზნე ცნების ქვეცნებების განსაზღვრისას შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კურიკულუმის ფორმები სკოლამ შეიმუშაოს თითოეული კლასისათვის.
2.1.2. (2)	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	მათემატიკის კურიკულუმში საკითხების დაკლასტერებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ სტანდარტის სავალდებულო თემებით.
2.1.2. (4)	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	მათემატიკის კურიკულუმთან დაკავშირებით: - სასურველია, მასწავლებლებმა შერჩეული კომპლექსური დავალებისათვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. - სასურველია, მასწავლებლებმა შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო თითოეულ კლასში სავალდებულო თემების შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის კურიკულუმთან დაკავშირებით: - განმავითარებელი და განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის დაწყებითიდაწყებითი

		საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი უნდა იყოსა თემებთან, სამიზნე ცნებებთან, მასთა დაკავშირებულ მკვიდრ წარმოოდგენებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, შეფასების ინსტრუმენტები (რომელიც ზოგადი ხასიათისაა) საჭიროებს დახვეწას. - სკოლამ შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
2.2.1 (1)	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	მათემატიკის კურიკულუმთან მიმართებით: სასწავლო პროცესი გამრავალფეროვნდეს კომპლექსური დავალებებით.
2.2.2. (1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სასურველია, დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმებში დაზუსტდეს თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
2.2.2 (3)	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სასურველია, სკოლამ დახვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სპორტის, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემა გახდეს მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
2.3.1. (1)	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების

	განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;
2.3.1. (2)	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	სასურველია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.
2.3.1 (3)	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და

		სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
2.3.2. (1)	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით გაამრავალფეროვნოს მონაცემების შეგროვების წყაროები.
2.3.2. (2)	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	მნიშვსასურველია, პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
2.3.2. (3)	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.
2.3.2. (4)	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ

		საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**
2.1.2. (1)	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	მათემატიკის კურიკულუმში სამიზნე ცნების ქვეცნებების განსაზღვრისას შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კურიკულუმის ფორმები სკოლამ შეიმუშაოს თითოეული კლასისათვის.
2.1.2. (2)	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები	მათემატიკის კურიკულუმში საკითხების დაკლასტერებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ სტანდარტის სავალდებულო თემებით.

	და შედეგები)	
2.1.2. (4)	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	მათემატიკის კურიკულუმთან დაკავშირებით: - სასურველია, მასწავლებლებმა შერჩეული კომპლექსური დავალებისათვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. - სასურველია, მასწავლებლებმა შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო თითოეულ კლასში სავალდებულო თემების შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის კურიკულუმთან დაკავშირებით: - განმავითარებელი და განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი უნდა იყოსა თემებთან, სამიზნე ცნებებთან, მასთა დაკავშირებულ მკვიდრ წარმოოდგენებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, შეფასების ინსტრუმენტები (რომელიც ზოგადი ხასიათისაა) საჭიროებს დახვეწას. - სკოლამ შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

2.2.1 (1)	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	მათემატიკის კურიკულუმთან მიმართებით: სასწავლო პროცესი გამრავალფეროვნდეს კომპლექსური დავალებებით.
2.2.2. (1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სასურველია, მათემატიკის კურიკულუმებში დაზუსტდეს თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
2.2.2 (3)	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სასურველია, სკოლამ დახვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სპორტის, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემა გახდეს მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
2.3.1. (1)	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;

2.3.1. (2)	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	სასურველია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.
2.3.1 (3)	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
2.3.2. (1)	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით გაამრავალფეროვნოს მონაცემების შეგროვების წყაროები.
2.3.2. (2)	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	მნიშვსასურველია, პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად

		ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
2.3.2. (3)	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.
2.3.2. (4)	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე,

		მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი: ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**
2.1.2. (1)	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	მათემატიკის კურიკულუმში სამიზნე ცნების ქვეცნებების განსაზღვრისას შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კურიკულუმის ფორმები სკოლამ შეიმუშაოს თითოეული კლასისათვის.
2.1.2. (2)	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	მათემატიკის კურიკულუმში საკითხების დაკლასტერებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ სტანდარტის სავალდებულო თემებით.
2.1.2. (4)	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	მათემატიკის კურიკულუმთან დაკავშირებით: - სასურველია, მასწავლებლებმა შერჩეული კომპლექსური დავალებისათვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. - სასურველია, მასწავლებლებმა შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო თითოეულ კლასში სავალდებულო თემების შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით.

		ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის კურიკულუმთან დაკავშირებით: - განმავითარებელი და განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი უნდა იყოსა თემებთან, სამიზნე ცნებებთან, მასთა დაკავშირებულ მკვიდრ წარმოოდგენებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, შეფასების ინსტრუმენტები (რომელიც ზოგადი ხასიათისაა) საჭიროებს დახვეწას. - სკოლამ შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
2.2.1 (1)	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	მათემატიკის კურიკულუმთან მიმართებით: სასწავლო პროცესი გამრავალფეროვნდეს კომპლექსური დავალებებით.
2.2.2. (1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სასურველია, საშუალო საფეხურის კლასების მათემატიკის კურიკულუმებში დაზუსტდეს თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
2.2.2 (3)	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სასურველია, სკოლამ დახვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სპორტის, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემა გახდეს

		მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
2.3.1. (1)	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;
2.3.1. (2)	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	სასურველია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.
2.3.1 (3)	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ

		როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
2.3.2. (1)	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით გაამრავალფეროვნოს მონაცემების შეგროვების წყაროები.
2.3.2. (2)	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	მნიშვსასურველია, პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
2.3.2. (3)	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მონაცემთა

		შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.
2.3.2. (4)	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

---

1. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. დასკვნის პროექტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 13 სექტემბერს დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.

2. ვიზიტის დროს შეფასებული 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არ მოიცავდა თითოეული აქტივობისათვის შესრულების ინდიკატორებს. სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. ვიზიტის დროს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია არ მოიცავდა ინფორმაციას მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შესახებ (პასუხისმგებელი პირები/პროცედურული საკითხები). სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. ვიზიტის დროს სკოლას განსაზღვრული არ ჰქონდა ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოზე მიღების წესი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულება (პოლიტიკა), რომლითაც აღმოიფხვა ხარვეზი და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

5. ვიზიტის დროს სკოლას განსაზღვრული არ ჰქონდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადმინისტრაციული და დამხმარე პოზოციებისთვის. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის დებულების (პოლიტიკის) დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ვაკანტური პოზიციის გაჩენის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის ზოგად წესს. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას და ამ გზით გამოხატულია დაწესებულების მზაობა, ჩაითვალა, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. ვიზიტის დროს სკოლას განსაზღვრული არ ჰქონდა ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის დებულების (პოლიტიკის) დოკუმენტი, რომლითაც აღმოიფხვა ხარვეზი და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

7. ვიზიტის დროს სკოლას განსაზღვრული არ ჰქონდა სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა უკვე დამტკიცებული რეგულაცია და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

8. ვიზიტის დროს სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა შიდა რეგულაცია, რომლითაც სასკოლო დონეზე განსაზღვრულ იქნებოდა

მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების საკითხი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა უკვე დამტკიცებული რეგულაცია და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

9. ვიზიტის დროს სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების წესი/მექანიზმი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა უკვე დამტკიცებული რეგულაცია და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

10. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა: საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან მიწერილობა, რომელიც ადასტურებს განსაზღვრულვადებში ხარვეზების აღმოფხვრას; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა, თუმცა, არ არის წარმოდგენილი საგანგებო მართვის გეგმის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, ითვალისწინებს ხარვეზების აღმოფხვრას 2024 წლის 6 ივლისამდე. ექსპერტებმა რეალისტურად მიიჩნიეს აღნიშნული აქტივობების განხორციელება და ინდიკატორი შეაფასეს მეტწილად დაკმაყოფილებულად.

11. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა/სხვა სახის მექანიზმი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ, მექანიზმის სახით, წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

12. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

13. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

14. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც განახორციელებდა საზოგადოებასთან კომუნიკაციას. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

15. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა ინფორმაცია ქართულ ენაზე. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

---

16. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა შემდეგი ინფორმაცია: შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს 2023 წლის 30 ნოემბერი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

17. ვიზიტის დროს სკოლაში გასაჩივრებას ექვემდებარებოდა მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევები და სხვა საკითხებზე საჩივრის განხილვის წესი სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი, უკვე დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

18. ვიზიტის დროს დაწესებულებას ბრძანებით/სამუშაო აღწერილობით/სხვა მექანიზმით არ ჰქონდა დარეგულირებული სოციალურ ქსელში/სხვა საშუალებით ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულება, უზრუნველყოს მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელება. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია პაუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს - სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მისიაა „სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად, განათლების ხარისხის ამაღლება და მუდმივი განახლება; ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლების სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა. ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა“. გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის მისია ცალ-ცალკე. რაც შეეხება სკოლის ხედვას - „სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი დამუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში “. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს - სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, კონკრეტულია, მასში მოცემულია

ის პრიორიტეტები, რომლებსაც სკოლა ანიჭებს უპირატესობას „ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლების სტანდარტის შემუშავება “. ამ მიმართულებით სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს. რაც შეეხება ხედვას, ის ზოგადია და არ ასახავს ინფორმაციას, როგორ ხედავს დაწესებულება თავს გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. ამასთან, მისია და ხედვა ორიენტირებულია პიროვნების განვითარებისკენ და არ არის საფრთხის შემცველი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით - სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე. აღნიშნულ კითხვარში ხაზგასმულია, რომ სასკოლო საზოგადოებამ გამოკვეთა STEM (საბუნემისმეტყველო მეცნიერებების) მიმართულების პრიორიტეტი. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მშობლეთან ურთერთობის დოკუმენტი, რომელშც გაწერილია მშობლის როლი და მისი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების დროს სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნა არ არსებობდა,

---

პროცესის ამსახველი ოქმების წარმოება არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შემუშავებულია მისიის და ხედვის გათვალისწინებით, (დოკუმენტში ასახულია მისია და ხედვა) დამტკიცებულია 2022 წლის სექტემბრის თვეში, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას, რომელიც მონაწილეობდა პროცესში, ჰქონდა შესაძლებლობა, ასევე ემსჯელა მისიის და ხედვის განაცხადზეც. დაწესებულებას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით განიხილოს მისია, ხედვა და ღირებულებები, გამოკვეთილი მოსაზრებების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირება შეიტანოს მათში, ასევე, აწარმოოს შესაბამისი პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, რასაც მოითხოვს დღეისათვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტები. აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, ინსტიტუციური მეხსიერების ჩამოყალიბებას და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გარეშეფასების პროცესისათვის დაწესებულების მზაობას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - მისია, ხედვა და ღირებულებები ასახულია დაწესებულების გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომლის შემუშავებაც უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა. დოკუმენტი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რომელიც წარმომადგენლობითია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი - როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული საჯარო ხელმისაწვდომობა გამოიხატება იმაში, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, რაც დადასტურდა ვიზიტის ფარგლებშიც. გარდა ამისა, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლის პერსონალის ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს - საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ “ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ – ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ – ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენეტი;
- სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;

- სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილებებზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი დამტიკცებულია 2023 წლის 2 ივნისს (სკოლის დირექტორის ბრძანების N31). დოკუმენტი მოიცავს: ზოგად დებულებებს, ტერმინთა განმარტებებს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირებს, სტრატეგიული განვითარების გეგმის

სტრუქტურასა და ძირითად მოთოხვნებს, სამოქმედო გეგმის სტრუქტურასა და ძირითად მოთხოვნებს, პროცედურის განხორციელების წესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. სტრატeგიული გეგმა უნდა დაეფუძნოს სკოლის SWOT ანალიზს, გეგმის შემუშავებაზე პასუხმგებელი გუნდი მიმოიხილავს და აანალიზებს შემდეგ საკითხებს: ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის შიდა სისტემის განვითარება, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება-განვითარება; შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება და ა.შ.; ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს - ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი, დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა იყო 6 წლიანი (2022-2028 წლები). დოკუმენტში მოცემული იყო შემდეგი საკითხები: შესავალი, სკოლის მანდატის მიმოხილვა, მომვალის ხედვა, მისია, ღირებულებები, რესურსები, გრძელვადიანი (2022-2028) მიზნები და მათი განხორციელების სტრატეგია, გარე ფაქტორების ანალიზი, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები, სტრატეგიული მიზნების მისაღწევი საჭირო რესურსები და სასწავლო პროგრამები, ფინანსური რესურსები. დოკუმნეტის მიხედვით სკოლის მისიიდან გამომდინარე, მის გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს: სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლების მქონე სკოლის სტატუსის მიღება და ავტორიზაციის გავლა, სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ხელშეწყობა და სკოლის ორგანიზაციული განვითარება. მიზნების შემდეგ მოცემულია თითოეული მიზნის მისაღწევად შესაბამისი ამოცანები და ქვეამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და რისკები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგიული გეგმა იყო 2022-2028 წლებზე გაწერილი. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. დასკვნის პროექტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 13 სექტემბერს დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას - სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 წლის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, საპუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმაში აქტივობები გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ძალაში შევიდა 2023 წლის იანვრიდან და სიახლეა სკოლისათვის, ბუნებრივია, მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას წინ არ უძღვოდა ყოველწლიური თვითშეფასების პროცესი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ვიზიტის დროს შეფასებული 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არ მოიცავდა თითოეული აქტივობისათვის შესრულების ინდიკატორებს. სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას,

---

რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების (2022-2028 წლების) გეგმა;
- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2022-2023 წელი);
- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 ივნისის ბრძანება N31 - სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს - სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე და მისი გადახედვა ხდება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის გადახედვა უნდა განხორციელდეს წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ. ამასთან, არ არის განსაზღვრული მონიტორინგის და შეფასების პროცედურა და მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/ორგანო. სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

---

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის მოცემული მონიტორინგის და შეფასების პროცედურა, მექანიზმი. ამასთან, სკოლას აქვს კონცეფცია რითაც შესაძლებელია სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება, რომელიც წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტში. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სტრატეგიის დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში

ცვლილების სურვილის შემთხვევაში, საკითხის ინიცირებას ახდენს დირექტორი, მიმოხილვის პროცესი ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსად, სპეციალურად ფორმირებული მიმოხილვის ჯგუფის მიერ (დაახლოებით იგივე სტრუქტურის, როგორც დაგეგმვის ჯგუფი), რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი და კოორდინაციას უწევს სტრატეგიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი. ჯგუფი მართავს საკონსულტაციო განხილვებს სხვადასხვა შიდა თუ გარე დაინტერესებულ პირებთან და ამზადებს მიმოხილვის/შეფასების ანგარიშს. მიმოხილვის პროცედურას წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რომელიც წარიმართება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით. ამასთან ვინაიდან სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამ ეტაპზე არ ქონია სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების შესაძლებლობა. ამასთან, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდი ამოიწურა 2023 წლის ივნისის ბოლოს, ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია, სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, გამოკვეთილია აქტივობა, რომელიც სრულად ვერ შესრულდა და დაიგეგმა მომდევნო წელს.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, შეთანხმების საფუძველზე, სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას მხოლოდ უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, მის წარდგენას ძალიან მნიშვნელოვან პროცესად მიიჩნევს სკოლა. რადგან თანამშრომლებს უყალიბდებათთანამონაწილეობის განცდა, პასუხისმგებლობისა და მოტივაციის ზრდა და გამოწვევების ინდენტიფიცირება; იმის გათვალისწინებით, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდის გასვლიდან რამდენიმე დღეში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, გეგმების შესრულების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ვიზტის დასრულების შემდეგ გეგმავენ შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას. მას შემდეგ, რაც სკოლას ექნება საკუთარი ვებგვერდი, რეგულარულად იქნება უზრუნველყოფილი ანგარიშების ვებგვერდზე განთავსევბა.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

- როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელება დაემთხვა ისეთ პერიოდს, როდესაც ობიექტურად ვერ ექნებოდა დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების სკოლის შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების დემონსტრირების შესაძლებლობა, ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლა სწორად ხედავს დაწესებულების განვითარების მიზნით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენების მნიშვნელობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი (2022-2028 წლების) გეგმა;
- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა ერთწლიანი (2022-2023 წელი);

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მ ე ტ წ ი ლ ა დ შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

---

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დებულება და ორგანიზაციული სტრუქტურა (დამკიცებული 2023 წლის 2 ივნისს, ბრძანება N32). დებულების მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს და ტექნიკურ პერსონალს. (დებულებაში მოცემულ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში არ არის წარმოდგენილი სამეურვეო საბჭო, რაც წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას, რადგან სხვადასხვა დოკუმენტსა და სკოლის ცხოვრებაში ჩანს, რომ სამეურვეო საბჭო ფუნქციონირებს სკოლაში). დებულებაში დეტალურად არის გაწერილია შემდეგი პირების ფუნქცია მოვალეობები: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მატერიალურ-ტექნიკური კოორდინატორი, სკოლის საქმეთა მმართველი, სკოლის ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, კათედრის თავმჯდომარე, კლასის დამრიგებელი, მასწავლებელი, სკოლის ექიმი, სკოლის დარაჯი, დასუფთავების სამსახური (დამლაგებელი), გაწერილია ასევე შემდეგი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა; სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის წესი, რომელშიც მოცემულია სკოლის საშტატო განრიგი. საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი; დირექტორის მოადგილე ადმინისტრირების დარგში; მასწავლებელი; სპეც-მასწავლებელი; სსსმ მოსწავლის ასისტენტი; საქმისმწარმოებელი; ბუღალტერი; ბიბლიოთეკარი; მატერიალურ ტექნიკოსის კოორდინატორი; დარაჯი; დამლაგებელი. პერსონალის მართვის წესში გაწერილია თითოეული პირის უფლება-მოვალეობები.
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაზღვრავს თითეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რაც მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის დებულება და საორგანიზაციო სტრუქტურა;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის წესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად - სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის წესი. მართვის წესში გასაზღვრულია სკოლის საშტატო განრიგი. გაწერილია სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის უფლება მოვალეობები და დამსაქმებლის ვალდებულებები შრომით ანაზღაურების გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, შვებულების მიცემის და შრომის ანაზღაურების გადახდის წესი. პერსონალის მართვის წესის განმსაზღვრელ დოკუმენტში არეულია თავების ნუმერაცია, სკოლას მიეცა რჩევა, შეასწორონ ტექნიკური უზუსტობები.
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა - სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის წესი, დოკუმენტში არ იკვეთება აღნიშნული, თუმცა ხარისხის მართვის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლაში ხარისხის შეფასების სფეროებიდან ერთ-ერთი გახლავთ სკოლის პერსონალის შეფასება. სკოლას აქვს მზაობა

განახორციელოს საჭიროებაზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით - სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად; სკოლის პერსონალთან გაფორმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, პირად საქმეებში წარმოდგენილია ცნობები „ნასამართლობის“, „უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“. ამასთან, სკოლას განსაზღვრული არ აქვს ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოზე აყვანის წესი. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, პერსონალის მართვის წესი სრულად არ მოიცავს აუცილებელ საკითხებს, კერძოდ, არ არის განხილული ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობებზე აყვანის წესი, თანამშრომლის სამუშაო გარემოში ორიენტაციის და ადაპტაციის საკითხები, თანამშრომელთა მუშაობის შეფასების და ა.შ. საკითხები, შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულება (პოლიტიკა), რომლითაც აღმოიფხვრა ხარვეზი და სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სკოლის ექიმის კვალიფიკაციაც ასევე შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. აღსანიშნავია, რომ ისინი თანამდებობაზე აყვანილნი არიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დამტკიცებამდე. ამასთან, ადმინისტრაციული თანამდებობებისათვის დაწესებულებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რის გამოც სტანდასრტის ინდიკატორი არ იქნა მიჩნეული დაკმაყოფილებულად. ამასთან, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულება (პოლიტიკა), რომლითაც აღმოიფხვრა ხარვეზი და სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს - სკოლის თანამშრომლებს შორის პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულების და თანამშრომლობის მაღალი ხარისხის

მანიშნებელია სკოლის კათედრების მუშაობა და სკოლაში განხორციელებული პროექტები. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლის დოკუმენტაციაში (სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია და ა.შ.) თანამშრომლობა და გუნდურობა გამოკვეთილია როგორც ერთ-ერთი მიდგომა.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი - სკოლის შენაგანაწესით დადგენილია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის დაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. გარდა ამისა სკოლა, თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც სკოლის წარმატებისკენ იქნება ორიენტირებული წახალისებულია და მომავალშიც წახალისდება. სკოლა აღნიშნავს, რომ მას არა ერთ გზის გამოუყენებია წახალისების მექნიზმები. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში მოწმობს, რომ სკოლაში ხდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის წესი;
სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია;
სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/waghverischool/?locale=ka_GE

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები - სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს შიდა შეფასების, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმებს. ხარისხის შიდა შეფასების სფეროებში შედის სკოლის პერსონალის შეფასებაც. სკოლაში მასწავლებლის შეფასების სისტემა ეყრდნობა მასწავლებლის სტანდარტს, ეს კი საშაულებას აძლევს სკოლას დაადგინოს მისი საჭიროება. სკოლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სკოლის პერსონალის, მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვა. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი სკოლას განსაზღვრული არ აქვს. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულება (პოლიტიკა), რომლითაც აღმოიფხვრა ხარვეზი და სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად - სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლა სისტემატურად აფასებს სკოლის პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს და კვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, თუმცა, შესაბამისი მექანიზმი დოკუმენტის სახით სკოლას ჯერ შემუშავებული არ აქვს და სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაითვალისწინოს აღნიშნული საკითხი.
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას - სკოლა ზრუნავს მასწავლებლების კარიერულ წინსვლაზე, კათედრებზე და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე საკითხს ეთმობა ყურადღება, თანამშრმლებს შორის არის გამოცდილების გაზიარების და თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა. ამასთან, კარიერული წინსვლა, კანონმდებლობის შესაბამისად, ატარებს ნებაყოფლობთ ხასიათს.
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - ვიზიტის ფარგლებში საწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან

ინტეგრაციას, არის მიმღებლობითი გარემო, სამუშაზე აყვანილი ახალი მასწავლებლების ინტეგრაციას ხელს უწყობს კათედრების ფუნქციონირებაა, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლების შემთხვევაში - დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი. ამასთან, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნული მექანიზმი მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის გუნდი თითქმის არ შეცვლილა უკვე მრავალი წელია, იშვიათად ხდება ახალი მასწავლებლის აყვანა, გამოკვეთილი საჭიროების გათვალისწინებით. სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის მართვის პოლიტიკით დაარეგულიროს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები - სკოლას განსაღვრული აქვს პერსონალის წახალისების ფორმები. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პერსონალის განვითარებასთან დაკავშრებული ინიციატივების წახალისებას მოწმობს სკოლაში განხორციელებული პროექტები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის წესი;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.
სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/waghverischool/?locale=ka_GE

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული

მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად - სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებულია დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების სისტემაზე.
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები - სკოლის საქმიანობის მმართველობითი პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. ამასთან, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოთვლილია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები.
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა - სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია თანამშრომლების და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები და საჩივრის მიმართვის პროცედურა. რაც შეეხება მშობლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებას, კონკრეტულად ამ მიმართლებით გამოკვეთილი რაიმე არ არის, თუმცა მშობლეთან ურთიერთობის წესის მიხედვით მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს ნებისმიერი საკითხის განხილვა მშობელთა კრებაზე და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლაში საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლის საჩივრების განხილვის სისტემა ფოკუსირებულია დისციპლინური საკითხების გადაწყვეტაზე და არ მოიცავს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების საკითხებს. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა უკვე დამტკიცებული

რეგულაცია და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები - სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუს მეშვეობით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება იცნობს საკუთარ უფლებებს. რეგულაციები, რომლებიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, განთავსებულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეც. ამასთან მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშაოს მკაფიო წესი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გარდა დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებისა, სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც სკოლის დირექციისათვის/სხვა ორგანოსათვის მიმართვა. ამასთან, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა უკვე დამტკიცებული რეგულაცია და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის დებულება;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები - დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია. ამასთან, შესაბამისი საკითხის მარეგულირებელი ზოგადი წესი სკოლას არ აქვს. ამასთან, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა უკვე დამტკიცებული რეგულაცია და სკოლა

ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა - დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყო სასკოლო ცხოვრებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას - სკოლის ტერიტორიაზე მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტს, სკოლას ჰყავს ამავე ბრძანებით განსაზღვრული აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე ერთი ექიმი და უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლას აქვს საევაკუაციო გეგმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; სკოლაში მოქმედი წესები (აკრძალული ნივთების ჩამონათვალი, სკოლაში უცხო პირთა შემოსვლის შეზღუდვა და ა.შ.), მანდატურის თანამშრომლების საქმიანობა, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა: საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან მიწერილობა, რომელიც ადასტურებს განსაზღვრულვადებში ხარვეზების აღმოფხვრას; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა, თუმცა, არ არის წარმოდგენილი საგანგებო მართვის გეგმის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, ითვალისწინებს ხარვეზების აღმოფხვრას 2024 წლის 6 ივლისამდე. ექსპერტებმა რეალისტურად მიიჩნიეს აღნიშნული აქტივობების განხორციელება და ინდიკატორი შეაფასეს მეტწილად დაკმაყოფილებულად. ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს. ამასთან, სკოლაში მუშაობს ორი მანდატური. ექპსერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს - ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს მტკიცებულება, როგორც დოკუმენტი ვიზიტის ფარგლებში არ გადამოწმებულა, ექსპერთა ჯგუფის

მოსაზრებით, სკოლაში არის პოზიტიური ატმოსფერო, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას - სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლების მიერ. ასევე, სკოლის ექიმის სამუშაო მოვალეობაში შედის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას - ვიზიტის დროს გადამოწმდა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით პერსონალური ინფორმაციის შემცველი მონაცემების გაცემის/გასაჯაროების შემთხვევაში შესაბამისი ინფორმირებული თანხმობის ფორმები და დადასტურდა, რომ სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობას. ამასთან, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი/სხვა სახის მექანიზმი სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა ვიზიტის დროს და სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის - პროცესი და მექანიზმები დოკუმენტურად გაწერილი არ არის, ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების

წარმომადგენლების განმარტებით იგეგმება დანერგილი მექანიზმების პერიოდული შეფასება, რაც გამოყენებული იქნება მექანიზმის გაუმჯობესებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
სკოლის სამედიცინო კაბინეტის ინვენტარი და მედიკამენტები;
სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ინვენტარიზაციის აქტი);
კორესპოდენცია, რომელიც ადასტურებს სკოლაში მანდატურის თანამშრომლების განაწილების ფაქტს.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მ ე ტ წ ი ლ ა დ შეესაბამება
☐ ნაწილობრი შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

---

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. სკოლის ბალანსზეა სამი შენობა, მათგან ერთი შენობა (ძირითადი ფართი, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი) სრულად გარემონტებულია და აღჭურვილია ყველა სახის საჭირო ინვენტარით და რესურსით, სკოლას ბალანსზე აქვს 314 მერხი და სკამი რაც უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისთვის (ფაქტობრივი კონტინგენტის გათვალისწინებით) სათანადო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას. ამასთან, სკოლას ავტორიზაციის განაცხადი გაკეთებული აქვს 350 მოსწავლეზე, ასეთ შემთხვევაში, სკოლას დამატებით ესაჭიროება მერხების და სკამების შეძენა. სკოლის ბალანსზე არსებული ორი შენობა ავარიულია, მდებარეობს მიმდებარე სოფლებში და არ გამოიყენება სკოლის ფუნქციონირების მიზნით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის - სკოლის ინფრასტრუქტურა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ინფრასტრუქტურის გამოყენების საკითხებს;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს - სკოლა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (ეტლით მოსარგებლეები) საჭიროებებთან. სკოლაში შესვლა უზრუნველყოფილია პანდუსით პირველ სართულზე,

რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. სკოლაში მოწყობილი არ არის მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლის პირველ სართულზე არის საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი და უზრუნველყოფილია შშმ პირების თავისუფალი გადაადგილება. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს რესურსოთახი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, სკოლას ჰქონდეს სოციო-კულტურული სივრცის დატვირთვა. რაც შეეხება სკოლის პრაქტიკას, სკოლაში მრავლად არის განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები - სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი, რაც შესაბამისობაშია სკოლის კურიკულუმის საჭიროებებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ამონაწერები უძრავი ქონების რეესტრიდან;
საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო
რესურსების კატალოგი;
ვიზუალური დათვალიერება;
სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;
სკოლის ინვენტარიზაციის აქტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

---

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას - სკოლას აქვს სრულფასოვანი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები გამოიყენება ადმინისტრაციის საქმიანობაში და სასწავლო პროცესში. მოსწავლეების და პერსონალის რაოდენობის და კომპიუტერების რაოდენობის თანაფარდობების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად - სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის გამოყენების წესი, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის მისი ხელმისაწვდომობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ინვენტარიზაციის აქტი;
სკოლაში დასაქმებული პერსონალის და მოსწავლეების რაოდენობა;
სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტაციის ორგანიზაციის, აღრიცხვიანობის, წარმოების საკითხებს. ინსტრუქცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
2. სკოლაში დანერგილია eflow - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სკოლის მართვის პროცესში ასევე გამოიყენება Eschool

---

სისტემა, როგორც ყველა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შემთხვევაში. პერსონალი მუშაობის პროცესში იყენებს თანამედროვე საოფისე პროგრამებს.

3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის ფარგლებში შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა ბაზაში ასახული მონაცემები და ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად ხორციელდება შემოსულ კორესპოდენციებზე დროული უკუგება და ანგარიშგება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია;

ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow).

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების

შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით - სკოლა საზოგადოების ინფორმირების მიზნით, იყენებს სოციალურ ქსელს (facebook), რომელზეც რეგულარულად თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და პროექტების შესახებ. ამასთან, სკოლას ვიზიტის მიმდინარეობისას არ ჰქონდა ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა ხარვეზის აღმოფხვრა და სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას - ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სკოლის სოციალურ ქსელში, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ გავრცელებული ინფორმაცია რეალობის შესატყვისია. ამასთან, საზოგადოების ინფორმირების შესახებ სპეციალური წესი/მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსებას სკოლას არ აქვს და სკოლას მიეცა რჩევა, სპეციალური ზოგადი წესით/სამუშაო აღწერილობით ან/და სხვა სახით შეიმუშაოს ასეთი მექანიზმი.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად - როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას არ აქვს ვებგვერდი, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითადი არხია სოციალური ქსელი. სკოლა გეგმავს, ჰქონდეს საკუთარი ვებგვერდი, რომელიც გამოყენებული იქნება საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს მექანიზმი/წესი, რომლის გამოყენებითაც მოახდენს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის გამოყენებას საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას - ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, შესაბამისად, ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ მზაობა, ვებგვერდის შექმნის შემდეგ მასზე განათავსებინათ სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია ქართულ ენაზე. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა ხარვეზის აღმოფხვრა და სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

5. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა შემდეგი ინფორმაცია: შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები

და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისია და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს 2023 წლის 30 ნოემბერი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მზაობა და რეალისტურად მიიჩნევს ერთი წლის მანძილზე ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/waghverischool/?locale=ka_GE

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მ ე ტ წ ი ლ ა დ შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

---

1. სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლის სამოქმედო გეგმა არ მოიცავს აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაციას, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დაგეგმილი და განხორციელებული პროცესები, შინაარსის და პასუხისმგებელი პირების გათვალისწინებით, შესრულებადია სკოლის ბიუჯეტით (სახელფასო ანაზღაურება...).
2. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, დაფინანსების დინამიკის და წლიური ანგარიშგების დოკუმენტის გამოთხოვა და გადამოწმება არ მომხდარა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ბიუჯეტი;
სკოლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების

უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა - სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. ამასთან, ვიზიტის დროს სკოლაში გასაჩივრებას ექვემდებარებოდა მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევები და სხვა საკითხებზე საჩივრის განხილვის წესი სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა შესაბამისად, ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, აგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა უკვე დამტკიცებული შესაბამისი რეგულაცია, რითაც აღმოიფხვრა ხარვეზი და სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით სკოლა შეფასდა შესაბამისად.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან - სასკოლო რეგულაციების გამჭვრივალობაზე მეტყველებს სკოლის ფოიეში გამოკრული შენაგანაწესი, სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ მოსწავლეების ჩართულობით შემუშავებულია ქცევის წესები, რომელიც მოსწავლის ქცევის კოდექსთან ერთად ასევე გამოკრულია სკოლის დერეფანსა და ყველა საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას. სკოლაში არსებული რეგულაციები გამჭვირვალეა და სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება - ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ხელშეკრულების ნიმუშები და დადგინდა მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის შინაგაწესი;

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები - აღნიშნულ პროცესებში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული წესებით. ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული ასეთი რეგულაცია სკოლას არ აქვს.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დოკუმენტაციის პროცედურის შესწავლა და ემისის ბაზის შემოწმება ამ მიზნით არ მომხდარა.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი - სკოლის სერვისების შესახებ ასახულია ხელშეკრულებაში, რომელსაც ეცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულების გაფორმებამდე. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ყველა დაინტერესებულ მშობელს აქვს შესაძლებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე სკოლის ადმინისტრაციასთან დააზუსტოს ყველა საკითხი. სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლაში სწავლის პირობების შესახებ, სოლის პროგრამის, სკოლაში განხორციელებული აქტივობების/პროექტების შესახებ ინფორმაცია ასევე ასახულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში არ არის კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის გამოქვეყნების წესებს. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც გამჭვირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი, განახლებული და არადისკრიმინაციული. ამასთან, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ ბრძანებით/სამუშაო აღწერილობით/სხვა მექანიზმით დაარეგულიროს, სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ვალდებულება, უზრუნველყოს მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება, რის გამოც სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;

სკოლის საინფორმაციო დაფის ვიზუალური დათვალიერება;

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი - სკოლას აქვს გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. გარდა ამისა, ინტრვიუს პროცესში მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ საწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა სასწავლო პროცესის თანმდევი პროცესია. ასევე ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტისას, სკოლამ წარუდგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც გაწერილია შესაბამისი შიინარსის

მქონე აქტივობები. ადმინისტრაციამ წარმოადგინა სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, რომელიც ასახავს პოზიტიურ და ადაპტირებულ სასწავლო გარემოს.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან - აღნიშნული ინდიკატორის დასტურად სკოლამ წარმოადგინა ტრანზაციის გეგმა, რომელიც გაწერილია სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისათვის, ასევე ინდივიდუალური ტრანზაციის გეგმა. თითოეულ გეგმაში მოცემულია განსახორციელებელი აქტივობები. გასახორციელებელი აქტივოებების ცენტრში, უმთავრეს ადგილს იკავებს მოსწავლეთა ინტერესი. სკოლა ტრანზაციის გეგმას სთავაზობს პირველ კლასელებს, გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. ასევე მოსწავლეებს საბაზო საფეხურზე, კონკრეტულად კი IX კლასში პროფესიული ორიენტაციის საათებს, საშუალო საფეხურზე, კონრეტულად კი XII კლასში პროფესიული ორიენტაციის საათებს.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად - აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლის კონსულტაცია და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით, მასწავლებლების ფუნქციებით;

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას - ადმინისატრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში დამატებითი არაფორმალური აქტივობების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის აქტივობას. ამ პუნქტის დასტურია სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდზე გავრცელებული სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა, მცირე ზომის ნარატიულ-ინფორმაციული ტექსტით (https://www.facebook.com/waghverischool/?locale=ka_GE).

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ტრანზაციის გეგმა;
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ინდივიდუალური ტრანზაციის გეგმა;
სადამრიგებლო პროგრამები;

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის - აღნიშნულის შესახებ სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეებთან სამუშაო გეგმა, რომლის ფარგლებშიც სკოლა IX და XII კლასელებს, სასწავლო წლის განმავლობაში სთავაზობს სხვადასხვა შეხვედრას პროფესიების არჩევანთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა მემორნადუმი, შპს კოლეჯ „ოპიზართან“ გაფორმებული მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორები იღებენ ვალდებულებას, რომელიც ხელსს უწყობს მოსწავლეთა კარიერულ დაგეგმვას. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მათ მჭიდრო ურთერთობა აქვთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტში არსებულ ვირტუალური

მოდელირების ცენტრთან და ლაბორატორიასთან, მომავალში კი გეგმავენ ვირტუალური ლაბორატორიის შექმნას.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, შესაბამისი დოკუმენტაცია სკოლას ჯერ არ აქვს;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შნიშვნა: ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა მკიცებულებების გზამკვლევით, რომელიც სკოლას ავტორიზაციის პირველად გავლის პროცესში არ ავალდებულებს, ჰქონდეს მტკიცებულებები ზემოთ მოცემული ინდიკატორის მიზნებისთვის.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის

დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასქმებულია ერთი სპეციალური მასწავლებელი და სსსმ პირის / პირების ორი ასისტენტი, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს - სკოლას აქვს მზაობა და ახორციელებს ინკლუზიურ განათლებას. მას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი - რესურს ოთახი და ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას ჰყავს 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლის პირადი საქმეები;

ისგ ჯგუფის ოქმები;

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის რეგულაციები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

---

1. სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.
2. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.
3. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**

სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას:

სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კათედრებზე მასწავლებლებს დამუშავებული აქვთ ესგ-ს მიხედვით დაწყებითი საფეხურის სტანდარტი, სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, თემატური მატრიცები, კომპლექსური დავალების ნიმუშები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელებისას გამოკვეთილ დეტალებს, სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად თავადაც შექმნან კომპლექსური დავალებები და ახალი სასწავლო წლისთვის სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩო.

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით,

---

ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

2 . კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები:

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნულს ასევე ადასტურებს მშობლებთან ურთიერთობის დანართი, სადიაგნოსტიკო ტესტები, და მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამას ცხადყოფს სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულება, მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, სხვა საგნობრივ კათდრებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვას და კურიკულუმებში ჩართვას.

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება.იგივე გამოიკვეთა დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ფეისბუქ-გვერდი
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;

საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც.

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ფეისბუქ-გვერდი
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;

საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
მშობლებთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია
ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

შემუშვებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა. კურიკულუმების სამუშაო ვერსიებია წარმოდგენილი და გეგმავენ სექტემბრამდე მოდიფიცირებას და დახვეწას.

დაწყებით საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, I- IV და V- VI კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, მათემატიკის კურიკულუმის შემთხვევაში, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები.

სკოლის მიერ მოწოდებულ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები, სადაც დაწყებით საფეხურზე გაწერილია სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები,რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება,საკითხი/საკითხთა კლასტერები,კომპლექსური დავალების იდეები, მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს.

კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები.

კათედრის წევრებთან პირისპირ ინტერვიუს წარმართვით, მოსწავლეთა პორტფოლიოების და ნამუშევრების დათვალიერებით. შეიძლება ითქვას რომ მასწავლებლები აძლევენ მაქსიმალურ თავისუფლებას, რომ მოსწავლემ გააკეთოს არჩევანი, რომელი რესურსი

შეარჩიოს და რა ფორმით წარმოადგინოს კლასის წინაშე კომპლექსური დავალება. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებულად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები საგანში ,,მე და საზოგადოება'' და ,,ჩვენი საქართველო'' წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად; საგნის ,,მე და საზოგადოება'' (III-IV კლასი) და ,,ჩვენი საქართველო''(V-VI კლასი) კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, თემები შეესაბამება საგნის ,,ჩვენი საქართველო'' და ,, მე და საზოგადოების''სტანდარტს. ყველა თემაში შერჩეული აქვთ თითო შუალედური სასწავლო მიზანი. დაკლასტრებულიც არის შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისი შინაარსის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალების იდეის ფორმულირება საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას თემებში: შუალედურ სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაშია სამიზნე ცნებები, თუმცა არ არის ქვეცნებები მითითებული. მითითებულია სასწავლო რესურსები. რაც შეეხება ქვეცნებებს, ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა კურიკულუმების დახვეწისათვის; ასევე, გამოჩნდა მათი სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიანი მიზნისაკენ მისასვლელად. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში.

მათემატიკის კურიკულუმის შემთხვევაში, მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება ზოგიერთ შემთხვევაში შესასწავლი საკითხების მიმართულებების მიხედვით დაკლასტერებაში, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ

რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით, რაც ვიზიტის ფარგლებშივე გაიზიარა დაწესებულებამ.

მთლიანობაში, საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური დავალებისა და პროექტების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: ,,მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. აღნიშნული მიდგომა ასახულია, თითოეულ საგაკვეთილო გეგმაში, გამომდინარე მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ.“ ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე გაერთიანებული საგნების მასწავლებლები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რისი დასტურიცაა ინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ დაწყებით საფეხურზე ჰყავთ სსსმ.მოსწვალეები, რომლებსაც სთავაზობენ ადაპტირეულ კომპლექსურ დავალებებს. ახდენენ კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას და მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსური დავალების პროდუქტი სასურველი ფორმით წარმოაჩინონ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას.ამ სახის გეგმები მათ წარმოადგინეს მიმდინარე სასწავლო წლისთვის რამდენიმე მოსწავლისთვის შედგენილი.სადაც აღწერილია მოსწავლის აქტუალური დონე, გაწერილია გრძელვადიანი მიზნები,კომპლექსური დავალება,მოკლევადიანი მიზნები და აგრეთვე წარმოდგენილია მოსწავლის პროგრესის შეფასება.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს,რომ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს დააკვირდნენ მოსწავლეებს, რა საკითხებთან მიმართებით ჰქონათ ძლიერი და სუსტი მხარეები და მომავალი სასწავლო წლისთვის ამ დკვირვების შდეგებზე დაყრდნობით შეადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. აღნიშულიდან გამომდინარე, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა.

მასწავლებელებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილი უნდა იყოს მოსწავლეთა საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით, მასწავლებლების მიერ შერჩეული აქტივობებით, კურიკულუმის ჩარჩოში, ნათლად ჩანს, რომ მასწავლებელბ ის მოსწავლეებს აძლევენ თავისუფალი არჩევანის საშუალებას რესურსების არჩევისას, ეს ყველაფერი დასტურდება მოსწავლეთა შექმნილი ნამუშევრებიდან, მათი პროტფოლიოების დათვალიერებით. პირისიპირ ინტერვიუს დროს კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით მრავალფეროვანია სსსმ მოსწავლის პორტფოლიო, რომლიდანაც იკვეთება, რომ მასწავლებლები ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შედგენისას ხელმძღვანელობენ მასწავლებელთა ანგარიშებით, მოსწავლეთა და მშობელთა მოსაზრებებით, მოსწავლეთა ინტერესებით და საჭიროებებით, განსაზღვრავენ და ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებს და შესაძლებლობებს.

ინტრევიუს დროს პედაგოგების ნაწილს მიეცა რჩევა, რომ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინონ ადაპტირებული დავალებები ისგ - ში, რაც გაიზიარა დაწესებულებამ. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კომპლექსური დავალების პირობების) და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, განმავითარებელი შეფასება გამოყენებული იქნება, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი. ასევე, განმავითარებლით შეფასდება დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან შემოდის განმსაზღვრელი შეფასება, სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს, რომ იდეის დონეზე გააზრებული აქვთ ეს მოდელი, მაგრამ როგორც აღნიშნეს, სასწავლო წლის დაწყებამდე გათვალისწინებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკების მომზადება. სკოლის თვითშეფასებაში ასეთი ჩანაწერია: ,, მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მომავალში მოხდება მოსწავლეთა შეფასება, ასევე შემოთავაზებული რესურსებიდან შევარჩიეთ ინსტრუმენტი1. „ჩანაწერების დღიური“. ინსტრუმენტი 6-ს კი „მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა მატრიცის გასაუმჯობესებლად“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა. სკოლის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია ისევ პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკებიც, მაგრამ მათემატიკის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი სანიმუშო რუბრიკები და განმავითარებელი შეფასებისთვის. I- IVკლასებში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი სოლო ტაქსონომიის სახით. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ

მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით, გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია, პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონტექსტის გათვალისწინებით.

ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნის კურიკულუმის შემთხვევაში, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი უნდა იყოს თემებთან, სამიზნე ცნებებთან მასთა დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ არის ზოგადი ხასიათის და საჭიროებს დახვეწას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინდიკატორის მოთხოვნა მთლიანობაში დაკმაყოფილებულია.

4. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

მასწავლებლებმა წარმოადგინეს საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც 2022-2023 სას.წლის კურიკულუმებზე დაფუძნებით შექმნეს. თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: ,,წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა ფარგლებში, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნა არა მარტო წინა სასწავლო წლის, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება, არამედ სამი წლის მანძილზე ახალი სკოლის მოდელში მიღებული გამოცდილებაც“ ასევე სასწავლო წლის დასასრულს კათედრა გეგმავს გააკეთოს მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები ახალშემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში. შეიცვალოს ან დარჩეს იგივე აქტივობები, რაც მიმდინარე სასწავლო წელს გამოიყენეს. აღნიშნულს ამყარებს პედაგოგებთან წარმართული ინტერვიუ, რის დროსაც მათ აღნიშნეს,რომ კათედრაზე ახდენენ თემების განხილვას, იზიარებენ წინარე გამოცდილებას, აანალიზებენ რომელმა აქტივობამ იმუშავა კარგად და რომელმა არა. თითო თემა რამდენიმე საკითხს მოიცავს,ამიტომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსაც და იმ საკითხებზე ახორციელებენ კომპლექსურ დავალებას, რომლებითაც უფრო მეტად ინტერესდებიან მოსწავლეები.შესაბამისად უწევთ სხვა აქტივობების ჩანაცვლება. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი;

კურიკულუმზე მუშაობის პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კურიკულუმების პირველადი ვერსიები);
ინკლუზიური განათლების მომწესრიგებელი დოკუმენტები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აკვირდებიან სასწალო პროცესს და არსებული დაკვრვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი. მათი თქმით და გამოგზავნილი დოკუმენტაციითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცსს აგებენ კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას და იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც. ამასთან, მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნა ეფუძნება წინარე ცოდნას. გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. მათი საუბრიდან და გაზიარებული პრაქტიკიდან ჩანს რომ პედაგოგები წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ და ამას ახერხებენ ისეთი შეკითხვების დასმით, როგორი კითხვებიც დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის აგებაში.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე -

კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გარკვეულწილად გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების

დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. მათ ისაუბრეს შექმნილ კომპლექსურ დავალებაზე, წარმოადგინეს ერთი ქეისი და განიხილეს როგორ იმუშავეს მოსწავლეებთან.

3. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად მითითებულია არსებული კომპლექსური დავალებების ბანკი, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში. და ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. შესაბამისად, ამ კრიტერიუმში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი
დოკუმენტები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით-

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში არამიზანმიმართული გახდება სწავლების პროცესი, ვერ იქნება გათვალისწინებული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას:

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები. სასურველი სასწავლო საკითხების შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობები ასაკობრივი თავისებურებების, წინარე ცოდნის გათვალისწინებით, რათა მოსწავლეებში არ გამოიწვიოს შფოთი და არ შეექმნათ დისკომფორტი. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორს.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე:

დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (შეფასების განმავითარებელი რუბრიკა, სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების მეორე მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ამ ეტაპზე არ აქვ წარმოდეგენილი, თუმცა სექტებრისთვის მზად ექნებათ. წარმოადგინეს აქამდე გამოყენებული შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, რაც კათედრის პოტენციალსა და მზაობაზე მეტყველებს. მათემატიკის კურიკულუმის შემთხვევაში, რჩევის სახით შეიძლება

აღვნიშნო, რომ კარგი იქნება თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან თემის ფარგლებში, შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი:

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მოსწავლეთა შეფასება არის ობიექტური, ვალიდური, სანდო, დაგამჭირვალე. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში მოცემულ სამიზნე ცნებებთან. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე ნიმუში განმავითარებელი კომენტარებით და უკუკავშირებით, რომლებითაც დასტურდება რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპებით. პირისპირ საუბრისას გამოიკვეთა. რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს, რაც გამჭირვალობის დასტურია.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასების ვერიფიკაციისათვის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების შემდგომ, ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს ჩატარებული პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებს და ამზადებს დასკვნას. ჯგუფის დასკვნაში ნათლად უნდა აისახოს რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად ჩართულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, რომელიც ასევე შესაძლოა ვერიფიკაციის დასკვნაში რეკომენდაციების სახით იყოს ჩაწერილი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი მომზადებულ დასკვნას წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვაზე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადოაღრიცხვასა და შენახვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, გასაუბრება მასწავლებლებთან. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

პროცესის წარმართვის მექანიზმები, არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მოსწავლე და მასწავლებელი ერთობლივად მუშაობენ უკეთესი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი იმის განსაზღვრისა, თუ როგორ, როდის და სად მოხდეს სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, მათ შორის: სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, საგნობრივ კათედრებთან, მრჩეველთა საბჭოსთან, დისციპლინარულ კომიტეტთან, მანდატურის სამსახურთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან.კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სამეურვეო საბჭოს წევრები/მშობლები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში შემოთავაზებული ინოვაციების, ახალი მეთოდების, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის შესახებ. სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სტარტეგიული განვითარების გეგმა ცხადყოფს, რომ ზრუნავენ სკოლაში ჰარმონიულ ატმოსფეროზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად იკვეთება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. კათედრების წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმი

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვთარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების

მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის დოკუმენტაციაში მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლოაქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

თვითშეფასების ფორმიდა ჩანს, რომ ვინაიდან სასწავლო პროფცესი დინამიური ხასიათისაა, რა თქმა უნდა თავს იჩენს მინიმალური, მაგრამ მაინც კონკრეტული პრობლემები. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარების, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. რაც გამოიხატებოდა სიტყვიერი რეკომენდაციებით. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლეოდათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმებოდა პრობლემების გადაჭრის გზები. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდეს კათედრის ოქმებშიც.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სასკოლო სასწავლო გეგმაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ მოახდენს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს.
2. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის

მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

3. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.

4. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათდრები გეგმავენ წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები.

სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას. ვინაიდან სკოლაში კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის გააზრება. ეს დაედება კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას საფუძვლად.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ევალება მუდმივ რეჟიმში აკვირედებოდეს და მონიტორინს უწევდეს საგაკვეთილო პროცესს, მასთან ერთად ეს ვალდებულება ეკისრება ადმინისტრაციის წევრებს დირექტორს და სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილეს. მათ მიერ პედაგოგებზე მიწიდებული უკუკავშირი ემსახურება საგაკვეთილო პროცესში არსებული მინიმალური ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლას მიაჩნია, რომ აღნიშნული პრაქტიკა ეფექტურია და გეგმავენ მის გაგრძელებას მომავალ სასწავლო წლებშიც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი

გასაუბრება დაწესებულების წარომადგენლებთან

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას:
სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კათედრებზე მასწავლებლებს დამუშავებული აქვთ ესგ-ს მიხედვით დაწყებითი საფეხურის სტანდარტი, სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, თემატური მატრიცები, კომპლექსური დავალების ნიმუშები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელებისას გამოკვეთილ დეტალებს,

---

სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად თავადაც შექმნან კომპლექსური დავალებები და ახალი სასწავლო წლისთვის სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩო.

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

2 . კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები:

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნულს ასევე ადასტურებს მშობლებთან ურთიერთობის დანართი, სადიაგნოსტიკო ტესტები, და მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამას ცხადყოფს სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულება, მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, სხვა საგნობრივ კათდრებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვას და კურიკულუმებში ჩართვას.

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება.იგივე გამოიკვეთა დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ფეისბუქ-გვერდი
- ელექტრონული ფოსტა;

- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;

საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც.

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ფეისბუქ-გვერდი
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;

საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
მშობლებთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია

2..1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშვებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები (ცალკეულ შემთხვევებშია მითითებული სახელმძღვანელო, გამომცემლობა და გვერდები). კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა. კურიკულუმების სამუშაო ვერსიებია წარმოდგენილი და გეგმავენ სექტემბრამდე მოდიფიცირებას და დახვეწას.
კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით.“ ამ ჩანაწერს ადასტურებს სკოლის მიერ მოწოდებულ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები, სადაც საბაზო საფეხურზე გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება, საკითხი/საკითხთა კლასტერები,კომპლექსური დავალების იდეები,მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს,განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. მითითებულია სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები შესაბამისობაშია სასწავლო თემატურ ერთეულებთან (ბუკლეტების შექმნა, კვლევის ჩატარება, ანგარიშის დაწერა, ექსპერიმენტების

განხორციელება, მონაცემების აღრიცხვა, მონაცემთა ანალიზის გაკეთება), ადასტურებს იმას, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული, არა როგორც მსმენელი, არამედ აქტიური მონაწილეა სასწავლო პროცესის. ყველა აქტივობა მოსწავლეზეა ორიენტირებული და ნათლად გვიჩვენებს პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პირისპირ ინტერვიუს და სასწავლო ლაბორატორიის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. საკმარისი რესურსია სხვადასხვა ექსპერიმენტებისა და კვლევების ჩასატარებლად, მასწავლებლები გარდა არსებული ლაბორატორიისა იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს და სხვადასხვა ონალაინ სიმულაციებს, რათა მოსწავლეებს დაანახონ ვირტუალური ლაბოარატორიების სარგებლიანობა და ინტერესით ჩართონ სასწავლო პროცესში, ეხმარებიან მოსწავლეებს გააცნობიერონ და დააკავშირონ კონკრეტული საგნობრივი ცოდნა ცხოვრებისეულ მოვლენებთან გამოიტანონ დასკვნები, გადაჭრან პრობლემები.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები სასწავლო რესურსების შერჩევისას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად:

ა) საგანში ,,ისტორია'' ყველა თემაში შერჩეული აქვთ შუალედური სასწავლო მიზანი. დაკლასტრებულიც არის შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისი შინაარსის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალების იდეის ფორმულირება საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას, ზოგან კომპლექსური დავალების პირობა არის ჩაწერილი.

შუალედურ სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაშია სამიზნე ცნებები, მითითებულია ქვეცნებებიც. თუმცა რამდენიმე ცნების შესაბამისი ქვეცნება შესასწორებელია.

ბ) საგანში ,,გეოგრაფია'' - თემები შეესაბამება მე-7 კლასის საგნის ,,გეოგრაფია'' სტანდარტს. კლასტერიც მასწავლებლების მიერ არის შერჩეული. კლასტერის სვეტში ჩამოწერილია პარაგრაფები ზედმეტია. ყველა (ოთხივე) თემაში შერჩეული აქვთ ერთი შუალედური სასწავლო მიზანი. კომპლექსური დავალების იდეის ფორმულირება საჭიროებს დახვეწას;

გ) საგანში ,,მოქალაქეობა'' - ყველა კლასში შევსებულია ჩარჩო/ცხრილის სამი სვეტი- თემები შეესაბამება საგნის ,,მოქალაქეობა'' სტანდარტს; კლასტერის სვეტში მითითებულია პარაგრაფი, სავარაუდოდ, რომლის ფარგლებშიც გეგმავს კომპლექსური დავალების განხორციელებას. მითითებულია სასწავლო რესურსები: სახელმძღვანელოები პარაგრაფებითა და გვერდებით, ვიდეო რესურსები - ლინკებით. ცხრილში არ ჩანს სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეა.

ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა კურიკულუმების დახვეწისათვის; ასევე, გამოჩნდა მათი სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიანი მიზნისაკენ მისასვლელად. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); მათში სრულადაა წარმოდგენილი თემასთან დაკავშირებული საკითხები და ქვესაკითხები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობისა და ნებელობის განვითარებაზე. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ყველა კოგნიტიური პროცესისთვის, ეს უნარი მნიშვნელოვანია ყველა საგნისთვის განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებისათვის, მეტაკოგნიცია საშუალებას გვაძლევს მიზნისკენ მივმართოთ მოსწავლეთა კოგნიტიური ძალისხმევა. კომპლექსური დავალებები მიმართულია მოსწავლის ინტერესებზე და საჭიროებებზე, მაგ.: მოსწავლე გამოთქვამს ვარაუდს, ატარებს ექსპერიმენტს, ამოწმებს საკუთრ ვარაუდებს, აღრიხავს მონაცემებს, წერს კვლევის ანგარიშს, გამოაქვს დასკვნები. ეს დასტურდება კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა კვლევის ანგარიშებით.

3. მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. დავალებების ბარათებში აისახება მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. მოსწავლეებს აქვთ თავისუფალი არჩევანი, თავად შეარჩიონ მათთვის ხელმისაწვდომი რესურსები დავალებების შესასრულებლად. სასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, სწავლის სტილით, მოტივაციით. კურიკულუმები ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას/შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.
სკოლას მოწოდებული აქვს წინა წლებში განხორციელებული ისგ-ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, სადაც თვალნათლივ ჩანს დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების გამოცდილება. ასევე ჩანს სამომავლო ხედვა კონკრეტული მაგალითებით - დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით.

---

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
კათედრების მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების მეორე მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ამ ეტაპზე არ აქვთ წარმოდეგენილი, თუმცა სექტებრისთვის მზად ექნებათ. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. მათემატიკის კურიკულუმების შემთხვევაში, რაც შეეხება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, თემის ფარგლებში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაზედაც პედაგოგებს მიეცათ გარკვეული რჩევები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, განმავითარებელი შეფასება გამოყენებული იქნება, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი. ასევე, განმავითარებლით შეფასდება დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. სკოლის თვითშეფასების მიხედვით:,,მომავალში,ახალ სასწავლო წელს კათედრაზე განვიხილავთ შეფასების მეორე მოდელს-შემაჯამებელი დავალებით,რადგან სასწავლო პროცესში თემის შესწავლისას შუალედურ მიზნის შესასრულებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს კომპლექსური დავალება და სასწავლო პროცესი გვინდა განვახორციელოდ სვლით კომპლექსურიდან კომპლექსურამდე,“ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს, რომ იდეის დონეზე გააზრებული აქვთ ეს მოდელი, როგორც აღნიშნეს, ქოუჩინგის დროს გაიარეს თუ როგორ შექმნან თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და სასწავლო წლის დაწყებამდე გათვალისწინებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკების მომზადება. სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა.
საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს შემუშავებული აქვთ შეფასების უბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისათვის. წარმოდგენილი აქვთ ექსპერიმენტის და კვლევის ჩატარების შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრუკები ორიენტირდება სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებზე, ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. მისი მიზანია სწავლა-

---

სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ასევე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკური ორიენტირებისაკენ. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. შესაბამისად სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები დაფუძნებულია წინარე ცოდნის ანალიზზე. ათედრის მასწავლებლები სამუშაო შეხვედრების ფორმატში განიხილავენ წარმატებულ და წარუმატებელ აქტივობებს, ასეთი განხილვებისას მასწავლებლები აანალიზებენ რატომ იყო ესა თუ ის აქტივობა წარუმატებელი, სახავენ გამოსწორების გზებს შეაქვთ კორექტივები, უკეთებენ მოდიფიცირებას. შესაბამისად, სკოლა ამ ინდიკატორში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმი

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აკვირდებიან სასწალო პროცეს და არსებული დაკვრვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი. თვითშეფასების დოკუმენტის შესაბამისი ინდიკატორის აღწერილობის, განხორციელებული კომპლექსური დავალებების და ახალი კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით,კომპლექსური დავალებების იდეებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რასაც უზრუნველყოფს მათი ასაკობრივი ჯგუფისთვის საინტერესო და ნაცნობი კონტექსტები, კომპლექსური დავალების პროდუქტების მრავალფეროვნება, საინტერესო რესურსები, გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებული აქტივობები, რომელიც ახალი იდეების გენერირებას შეუწყობს ხელს. სკოლის მიერ გაკეთებულ თვითშეფასების ფორმის მიხდვით ,, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.“ ამ ჩანაწერს ამყარებს მასწავლებლებთან ინტერვიუ რომლის დროსაც კარგად ჩანს, რომ მოსწავლის ინიციატივების წახალისება წამყვან როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში. საბუნებისმეტყველო კათედრის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და აქტივობები რომლის განხორციელებაც უწევთ მოსწავლეებს

დაახლოვებლია ცხოვრებისეულ კონტექსტთან. ასეთი ავთენტური პრობლემების გადაჭრისას მოსწავლე ცდილობს საკუთარი, შემოქმედებითი მიდგომით. მოსწავლე კეთების პროცესში ცოდნის ახდენს კონსტრუირებას. ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის თვალსაჩინოებებით, სხვადასხვა დანადგარებით, მოსწავლეთა ნაშრომები იძლევა წარმოდგენას მოსწავლეთა აქტიურ, შემოქმედებით სასკოლო ცხოვრებაზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესებზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ხდის შემოქმედებითს და მოსწავლეს სძენს დაგეგმვისა, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის უნარებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. ასე, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

კათედრას ისტორიისა და გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე. გასაუბრებისას კათედრის წევრები, მათ შორის საგნის ,,მოქალაქეობა '' პედაგოგები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნა ეფუძნება წინარე ცოდნას. გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. სავალდებული თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ.

მათემატიკა - მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების

დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კომპლექსური დავალებები გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში. თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ აღნიშნული მიდგომა ასახულია, თითოეულ საგაკვეთილო გეგმაში, გამომდინარე მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ. ესთეტიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეის, აგრეთვე კომპლექსური დავალების ბარათებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,რადგან კომპლექსური ტიპის დავალებებით სასწავლო პროცესის წარმართვა მოიაზრებს სწავლის სწავლაზე აქცენტირებას. კერძოდ: წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში ნაშრომის პრეზენტაციისას დასასმელი შეკითხვები - რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენეთ; რა ნაბიჯები გადადგით... დავალებაში მოცემული საკვანძო შეკითხვები-როგორ გამოვსახო... როგორ როგორ შევქმნა... როგორ გადმოვცე... და ა.შ. სწავლის-სწავლის სტრატეგიების გამოყენებაზე მიუთითებს... სკოლა თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავს, რომ ,,მომავალში ისევ ვგეგმათ ამავე მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას და შეთავაზებული სტრატეგიების კიდევ უფრო დახვეწას სხვადასხვა ლიტერატურის დამუშავებით და კათედრაზე გამოცდილების გაზიარებით.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა. ამ ინდიკატორში კათედრა შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბუნებისმეტყველო კათედრის სასკოლო კურიკულუმში და კომპლექსური დავალებების პირობებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით როგორ უზრუნველყოს მოსწავლემ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ასევე, სხვა კათედრების წევრებთან ინტერვიუს და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების

ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას.

სკოლის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია ისევ პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია, პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო თითოეულ კლასში სავალდებულო თემების შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით.

საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან, საგნობრივი კურიკულუმიდან, კომპლექსური დავალებებიდან, არაფორმალური აქტივობებიდან, პროექტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. მთლიანობაში, დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იქნება ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა საბაზო საფეხურის ყველა კლასში შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და

ურთიერთდაკდაწესებულების მიერ წარმოდგენილია შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებების ბარათები, სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ხშირად ახდენენ სხვა საგნებთან ინტეგრირებას.კერძოდ: მუსიკაში , როდესაც გადიან საკითხს .დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში ორატორიაში,ან მელოდეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემაში, მაშინ ინტეგრირება ხდება საგან ისტორიასთან, ხოლო როდესაც საკითხს გადიან დეკლამაციაზე,მაშინ ინტეგრირება ხდება ქათულ ენასა და ლიტერატურასთან.აგრეთვე საბაზო საფეხურზე მუსიკის საგნის ინტეგრირება ხშირად ხდება საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან.მასწავლებლებმა მრავალფეროვანი მასალები და აქტივობები დაასახელეს, რაც გვაფიქრებინებს,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების და კურკულუმის ჩარჩოებში მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ სწავლების პროცესი აგებულია ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთკავშირებზე. მოსწავლეები ახდენენ სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესების შორის შესაბამისად, ამ კრიტერიუმში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მე-9 კლასის კურიკულუმში შესასწავლი საკითხების წარმოჩენაში უზუსტობაა, თუმცა კათედრაზე არის მზაობა და ურთიერთანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით სექტემბრამდე კურიკულუმები დაიხვეწება. კურიკულუმები სექტემბრამდე დამუშავდება, აღნიშნეს კათედრის წარმომადგენლებმა ინტერვიუში. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

დაწესებულების მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში კონტექსტები და საკითხები შერჩეულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელას უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ თითოეულ კომპლექსურზე განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების გაწერას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-

საბუნებისმეტყველო - საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ თითოეულ კომპლექსურზე მორგებულ განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების გაწერას, ამ პროცესში აპირებენ მოსწავლეების ჩართვას, რაც გაზრდის სანდოობას. მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. გამჭვირვაალე, ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც გეგმავს სკოლა

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის წარმოდეგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის სისტემა. ასევე, სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია: „შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში ეძლევა რეკომენდაცია“.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე

წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომლებსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.
როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვაზე, თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

---

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

როგორც სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. არსებულზე დაყრდნობით, მომავალ წელს გაუმჯობესდება სასწავლო პროცესში მხარდაჭერა და მიმღებლობა, კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ სამოქმედო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვთარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლოაქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

სასკოლო სასწავო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასკოლო სასწავლო გეგმაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ მოახდენს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს.
2. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
3. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.
4. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია

გავლენა მოახდინოს შედეგზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

შეფასება:
- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას:
სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კათედრებზე მასწავლებლებს დამუშავებული აქვთ ესგ-ს მიხედვით დაწყებითი საფეხურის სტანდარტი, სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, თემატური მატრიცები, კომპლექსური დავალების ნიმუშები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელებისას გამოკვეთილ დეტალებს, სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას,

---

შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად თავადაც შექმნან კომპლექსური დავალებები და ახალი სასწავლო წლისთვის სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩო.

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

2 . კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები:

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნულს ასევე ადასტურებს მშობლებთან ურთიერთობის დანართი, სადიაგნოსტიკო ტესტები, და მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამას ცხადყოფს სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულება, მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, სხვა საგნობრივ კათდრებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვას და კურიკულუმებში ჩართვას.

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება.იგივე გამოიკვეთა დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ფეისბუქ-გვერდი
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;

- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;

საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც.

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ფეისბუქ-გვერდი
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;

საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
მშობლებთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე შემუშვებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები (მითითებულია დამატებითი რესურსები, მაგრამ არ არის მითითებული სახელმძღვანელო, გამომცემლობა და გვერდები). კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა. კურიკულუმების სამუშაო ვერსიებია წარმოდგენილი და გეგმავენ სექტემბრამდე მოდიფიცირებას და დახვეწას. მათემატიკის კურიკულუმების შემთხვევაში, გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები, რაც ვიზიტის ფარგლებში გაითვალისწინა დაწესებულებამ.
ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ამის დასტურია სკოლის მიერ მოწოდებულ ესთეტიკური აღზრდის, კერძოდ კი მუსიკის საგნის კურიკულუმი, სადაც საშუალო საფეხურის Xკლასისთვის გაწერილია სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები, საკითხები და რესურსები,რომლებითაც ხდება პროექტზე მუშაობის წარმართვა. თემები რომლებიც პროექტის ფარგლებში დამუშავდა ,მოწავლეებს აძლევს საშუალებას რომ საბოლოო პროდუქტი მრავალფეროვანი იყოს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე მუსიკა და სახვითი ხელოვნება ისწავლება სავალდებულო პროექტების სახით X ან XI კლასში. მიმდინარე სასწავლო წელს X კლასში პროექტული სწავლება განხორციელდა მუსიკის საგანში. ამას ადასტურებს დოკუმენტაცია, რომელშც კარგად ჩანს თუ რომელი თემა,რა სამიზნე ცნებები დამუშავდა და როგორი იყო სტანდარტთან შედეგების შესაბამისობა.მითითებულია პროექტის დროს გამოყენებული რესურსები.პროექტში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. მასწავლებელმა დაწვრილებით აღწერა მეათე კლასის ერთ-ერთი პროექტის დანერგვის პროცესი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ამასთანავე ინტერვიუს დროს საგან ხელოვნების მასწავლებელმა აღნიშნა,რომ იგი მეორე სკოლაშიც ასწავლის და იმ სკოლაში მეათე კლასში,არჩეული იყო პროექტული სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.განახორციელა 2 პროექტი. აღნიშნა რომ აქვს გამოცდილება და ამ გამოცდილებას გამოიყენებს მომავალ სასწავლო წელს წაღვერის საჯარო სკოლაში. სკოლას აქვს გამოცდილება და როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს,გაიზიარებენ უკვე

არსებულ პრაქტიკას და არდადეგების პერიოდში აპირებენ ესთეტიკური აღზრდის კათედრის საგნებში მომავალი წლისთვის დაგეგმონ,თუ როგორ წარმართონ პროექტული სწავლება.აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა.

საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები შესაბამისობაშია სასწავლო თემატურ ერთეულებთან (ბუკლეტების შექმნა, კვლევის ჩატარება, ანგარიშის დაწერა, ექსპერიმენტების განხორციელება, მონაცემების აღრიცხვა, მონაცემთა ანალიზის გაკეთება), ადასტურებს იმას, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული, არა როგორც მსმენელი, არამედ აქტიური მონაწილეა სასწავლო პროცესის. ველა აქტივობა მოსწავლეზეა ორიენტირებული და ნათლად გვიჩვენებს პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პირისპირ ინტერვიუს და სასწავლო ლაბორატორიის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. საკმარისი რესურსია სხვადასხვა ექსპერიმენტებისა და კვლევების ჩასატარებლად, მასწავლებლები გარდა არსებული ლაბორატორიისა იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს და სხვადასხვა ონალაინ სიმულაციებს, რათა მოსწავლეებს დაანახონ ვირტუალური ლაბოარატორიების სარგებლიანობა და ინტერესით ჩართონ სასწავლო პროცესში, ეხმარებიან მოსწავლეებს გააცნობიერონ და დააკავშირონ კონკრეტული საგნობრივი ცოდნა ცხოვრებისეულ მოვლენებთან გამოიტანონ დასკვნები, გადაჭრან პრობლემები.

ასეთივე სურათია საზოგადოებრივი მეცნიერებების ნაწილში, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებით, რაც ქმნის წარმოდეგნას, თუ რა მასალებზე დაყრდნობით, რა მეთოდების გამოყენებით აპირებენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ფარგლებში. X კლასის საგნებში ,,ისტორია'' და ,,საქართველოს ისტორია'', ,,გეოგრაფია'' და ,,მოქალაქეობა''- თემები შეესაბამება შესაბამისი საგნების სტანდარტს. ყველა თემაში შერჩეული აქვთ შუალედური სასწავლო მიზანი.

შუალედურ სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაშია სამიზნე ცნებები, საგნებში ,,ისტორია'', ,,საქართველოს ისტორია'', ,,გეოგრაფია'' ქვეცნებები მითითებულია , ,,მოქალაქეობაში''ქვეცნებები არ არის მითითებული. დაწესებულებას კონტექსტ-მაგალითებთან დაკავშირებით მიეცა რჩევები, რაც გაიზიარეს ვიზიტის ფარგლებში.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ პროექტის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნოთ წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური დავალებისა და პროექტების ფარგლებში. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში მათში სრულადაა წარმოდგენილი თემასთან დაკავშირებული საკითხები და ქვესაკითხები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობისა და ნებელობის განვითარებაზე. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ყველა კოგნიტიური პროცესისთვის, ეს უნარი მნიშვნელოვანია ყველა საგნისთვის განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებისათვის, მეტაკოგნიცია საშუალებას გვაძლევს მიზნისკენ მივმართოთ მოსწავლეთა კოგნიტიური ძალისხმევა. ომპლექსური დავალებები მიმართულია მოსწავლის ინტერესებზე და საჭიროებებზე, მაგ.: მოსწავლე გამოთქვამს ვარაუდს, ატარებს ექსპერიმენტს, ამოწმებს საკუთრ ვარაუდებს, აღრიხავს მონაცემებს, წერს კვლევის ანგარიშს, გამოაქვს დასკვნები. ეს დასტურდება კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა კვლევის ანგარიშებით.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირბულ/ინკლუზიურ მიდგომებს. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, რომ „მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, თითოეულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. აღნიშნული მიდგომა ასახულია, თითოეულ საგაკვეთილო გეგმაში, გამომდინარე მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ“. ზემო აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ კათედრას/სკოლას გააზრებული აქვს დიფერენცირბულ/ინკლუზიურ მიდგომები სწავლების პროცესში. მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში. თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ აღნიშნული მიდგომა

ასახულია, თითოეულ საგაკვეთილო გეგმაში, გამომდინარე მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ. საბუნებისმეტყველო-საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. დავალებების ბარათებში აისახება მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. მოსწავლეებს აქვთ თავისუფალი არჩევანი, თავად შეარჩიონ მათთვის ხელმისაწვდომი რესურსები დავალებების შესასრულებლად. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, სწავლის სტილით, მოტივაციით. კურიკულუმები ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას/შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

სკოლას მოწოდებული აქვს წინა წლებში განხორციელებული ისგ-ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, სადაც თვალნათლივ ჩანს დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების გამოცდილება. ასევე ჩანს სამომავლო ხედვა კონკრეტული მაგალითებით - დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

კათდრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების მეორე მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ამ ეტაპზე არ აქვ წარმოდეგენილი, თუმცა სექტებრისთვის მზად ექნებათ.კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. სკოლის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია ისევ პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია, პედაგოგებს მიეცათ რჩევა,რომ შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო თითოეულ კლასში სავალდებულო თემების შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით.

უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი არ არის განმავითარებელი და გან,ავითარებელი შეფასების რუბრიკები,თუმცა ინტერვიუს დროს ცალსახად ნათელი გახდა, რომ ამ საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. მასწავლებელთა მიერ განხილული შეფასების მიდგომები სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ უცხოური ენის გრძელვადიან მიზნებს, მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკაოტრებს შორის.

ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის,კერძოდ პროექტების,მისი შეფასების რუბრიკისა და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, რადგანაც საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრის საგნები პროექტული სწავლების სახითაა, ამიტომ ამ საგნებში მიღებული შედეგი განმავითარებელი შეფასებით ფასდება.განმავითარებელი შეფასება გამოყენებული იქნება, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი. სკოლის თვითშეფასების მიხედვით:,,მომავალში,ახალ სასწავლო წელს კათედრაზე განვიხილავთ შეფასების მეორე მოდელს-შემაჯამებელი დავალებით,რადგან სასწავლო პროცესში თემის შესწავლისას შუალედურ მიზნის შესასრულებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს კომპლექსური დავალება და სასწავლო პროცესი გვინდა განვახორციელოდ სვლით კომპლექსურიდან კომპლექსურამდე," კომპლექსური დავალებები ჩაშენებულია პროექტებში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს, რომ იდეის დონეზე გააზრებული აქვთ ეს მოდელი, როგორც აღნიშნეს,ქოუჩინგის დროს გაიარეს თუ როგორ შექმნან თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და სასწავლო წლის დაწყებამდე გათვალისწინებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკების მომზადება. სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა. ამ ინდიკატორში კათედრა შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს შემუშავებული აქვთ შეფასების უბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისათვის. წარმოდგენილი აქვთ ექსპერიმენტის და კვლევის ჩატარების შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირდება სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებზე, ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება.

---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკითხება მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში რამდენად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ პედაგოგებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, რაც ასევე დასტურდება დოკუმენტით - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები დაფუძნებულია წინარე ცოდნის ანალიზზე. კათედრის მასწავლებლები სამუშაო შეხვედრების ფორმატში განიხილავენ წარმატებულ და წარუმატებელ აქტივობებს, ასეთი განხილვებისას მასწავლებლები აანალიზებენ, თუ რატომ იყო ესა თუ ის აქტივობა წარუმატებელი, სახავენ გამოსწორების გზებს შეაქვთ კორექტივები, უკეთებენ მოდიფიცირებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

---

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

საშუალო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აკვირდებიან სასწალო პროცეს და არსებული დაკვრვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი.

ვინაიდან მათემატიკის კათედრამ განსაზღვრა, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, რაც მისცემს მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძებლობას. პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებით. საბუნებისმეტყველო კათედრის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და აქტივობები რომლის განხორციელებაც უწევთ მოსწავლეებს დაახლოვებულია ცხოვრებისეულ კონტექსტთან. ასეთი ავთენტური პრობლემების გადაჭრისას მოსწავლე ცდილობს საკუთარი, შემოქმედებითი მიდგომით. მოსწავლე კეთების პროცესში ცოდნის ახდენს კონსტრუირებას. ნანახი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის თვალსაჩინოებებით, სხვადასხვა დანადგარებით, მოსწავლეთა ნაშრომები იძლევა წარმოდგენას მოსწავლეთა აქტიურ, ემოქმედებით სასკოლო ცხოვრებაზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესებზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ხდის შემოქმედებითს და მოსწავლეს სძენს დაგეგმვისა, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის უნარებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის

პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში,მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, გასაუბრებისას კათედრის წევრები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალბების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნა ეფუძნება წინარე ცოდნას. გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებშიც, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ დაშენებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

კომპლექსური დავალებები გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ინტერესებზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. საბუნებისმეტყველო კათედრის სასკოლო კურიკულუმში, ასევე, სხვა კათედერების შემთხვევებში და კომპლექსური დავალებების პირობებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით როგორ უზრუნველყოს მოსწავლემ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის

ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. ვინაიდან კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები შესრულებისას, მოსწავლისგან მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ კომპლექსური დავალების გამოყენებით, ასეთი დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. „კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული და პროცედურული ცოდნა გადაიზარდოს პირობისეულ ცოდნაში.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად მითითებულია არსებული კომპლექსური დავალებების ბანკი, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური დავალებები, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის ურთიერთდაკავშირება და გამოყენება.

ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ხშირად ახდენენ სხვა საგნებთან ინტეგრირებას.მასწავლებლებმა მრავალფეროვანი მასალები და აქტივობები დაასახელეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი აქვთ კომპლექსური დავალება, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ, თუმცა დასაზუსტებელი აქვთ თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები,რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებშივე გაიზიარა დაწესებულებამ. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხილულია პროექტები მუსიკის საგანში. სადაც მკაფიოდაა გაწერილი პროექტის თემები, ისტორიული პარალელები, მეთოდიკა, ინტერვენციები 15 გაკვეთილის/შეხვედრის ფორმატში. თითოეული დავალება, როგორც შუალედური მიზანი, მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. თვითშეფასებისას სკოლა წერს: ,,მესამე

თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.“ მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კი გამოიკვეთა,რომ გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. ყოველივე ეს კი მიუთითებს,რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საშუალო საფეხურის მათემატიკის მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზით დარწმუნდნენ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოტავაზებული თემები, რომელთა უმეტესობა მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, რომელბიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

საგნობრივ კურიკულუმში პედაგოგთა მიერ საკითხები იმგვარადაა შერჩეული,რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლა თვითშეფასებისას აღნიშნავს: ,,საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიალური, რაც ითვალისწინებს ფილმების ჩვენებასაც,აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება, ამასთანავე მათში აღძრავს ემპათიის გრძნობას.“ მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას , რაც ხელს შეუწყობს საგნობრივ კონტექსტებში მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში კონტექსტები და საკითხები შერჩეულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელას უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკა) და ასევე შერჩეული საიდიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. წარმოადგინეს აქამდე გამოყენებული შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკები, რაც კათედრის პოტენციალსა და მზაობაზე მეტყველებს. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით თავაზობენ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნული ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს - ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. რჩევის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კარგი იქნება, წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად, თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან თემის ფარგლებში, შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები კონტექსტის გათვალისწინებით.

სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია საგან ინგლისური ენის სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ ახალ, თითოეულ კომპლექსურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გაწერას.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

კათედრები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ თითოეულ კომპლექსურზე მორგებულ განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების გაწერას, ამ პროცესში აპირებენ მოსწავლეების ჩართვას, რაც გაზრდის სანდოობას. მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. გამჭვირვაალე, ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც გეგმავს სკოლა.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასების ვერიფიკაციისათვის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების შემდგომ, ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს ჩატარებული პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებს და ამზადებს დასკვნას. ჯგუფის დასკვნაში ნათლად უნდა აისახოს რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად ჩართულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, რომელიც ასევე შესაძლოა ვერიფიკაციის დასკვნაში

რეკომენდაციების სახით იყოს ჩაწერილი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი მომზადებულ დასკვნას წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვაზე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადოაღრიცხვასა და შენახვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

როგორც სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. არსებულზე დაყრდნობით, მომავალ წელს გაუმჯობესდება სასწავლო პროცესში მხარდაჭერა და მიმღებლობა, კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია და ა.შ. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შემიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

---

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვთარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლოაქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. სასკოლო სასწავო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

---

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. რჩევის სახით, მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასკოლო სასწავლო გეგმაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ მოახდენს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს.

---

2. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.
3. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.
4. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრის შეხვედრაზე, პედაგოგები განიხილავენ როგორ მიდის კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, როგორ ხდება მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რჩევა - გაითვალისწინონ, რომ კურიკულუმის განვითარება გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათდრა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული

მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები
შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი: სკოლის შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტაციით, 1 (ერთი) ელექტრონული ფაილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ლიკა გიორგაძე



ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ხელმოწერები:

მაკა ნადარეიშვილი

ნინო შუბლაძე

მარეხი ჩიკვაიძე	
ნინელი ცერცვაძე	
ნათია ღოღობერიძე	
ლია ციცქიშვილი	
თეა ღვინიანიძე	
მარიამ ჯვარიძე	
კობა დეკანაძე	
ქეთევან ცირეკიძე	

25.09.203 წ.

თარიღი